ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

## მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

- ***უმაღლესი განათლების საფეხური:*** დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანამანთლებლო პროგრამა
- ***სწავლების ენა:*** ქართული/უცხოური ენების მიმართულებისთვის საგნობრივი მეთოდიკის კურსები ქართულ და შესაბამის უცხოურ ენაზე
- ***საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:*** აკადემიური
- ***მიმართულებები და ქვემიმართულებები:***

დაწყებითი საფეხურის (I-VI) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
დაწყებითი საფეხურის (I-VI) მათემატიკის მასწავლებელი
საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მათემატიკის მასწავლებელი

საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულება:

- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - ისტორიის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - სამოქალაქო განათლების მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - გეოგრაფიის მასწავლებელი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულება:

- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - ბიოლოგიის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - ფიზიკის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - ქიმიის მასწავლებელი
- დაწყებითი საფეხურის (I-VI) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში- ბუნებისმეტყველების მასწავლებლი

უცხოური ენების მიმართულება:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში - ინგლისური ენის მასწავლებელი
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში - რუსული ენის მასწავლებელი

***პროგრამის დასრულების სერტიფიკატი:***

სერტიფიკატი – დაწყებითი საფეხურის (I-VI) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სერტიფიკატი - საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სერტიფიკატი – დაწყებითი საფეხურის (I-VI) მათემატიკის მასწავლებელი

სერტიფიკატი - საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მათემატიკის მასწავლებელი

სერტიფიკატი:

- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - ისტორიის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - სამოქალაქო განათლების მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - გეოგრაფიის მასწავლებელი

სერტიფიკატი:

- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - ბიოლოგიის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - ფიზიკის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - ქიმიის მასწავლებელი
- დაწყებითი საფეხურის (I-VI) მასწავლებელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში- ბუნებისმეტყველების მასწავლებლი

სერტიფიკატი - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში - ინგლისური ენის მასწავლებელი

სერტიფიკატი - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში - რუსული ენის მასწავლებელი

- ***სწავლის ხანგრძლივობა:*** 2 სემესტრი
- ***პროგრამის მოცულობა:*** 60 კრედიტი-ECTS (1 კრედიტი- 25 საათი)
- ***პროგრამის ხელმძღვანელი:*** ნინო ფეტვიაშვილი

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრი/მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით. ასევე, პირი ვალდებულია ჩააბაროს ევროპის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდა.

## პროგრამის მიზანი

მოამზადოს საქართველოს განათლების მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, პროფესიული სტანდარტის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი, რომელიც იქნება კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების, მოქალაქეობრივი შეგნებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, ექნება შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, ორიენტირებული იქნება უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, იქნება კონკურენტუნარიანი, სიახლეების მიმღები და დამნერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში.

## სწავლის შედეგები

**საგანმანათლებლო პრპგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:**

- მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით.
- პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნა;
- მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად;
- კლასგარეშე საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- დემოკრატიული ფასეულობების, მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება სასწავლო პროცესში პიროვნების სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში;
- განათლების მეცნიერებაში ახალი ცოდნის, ტენდენციების და თანამედროვე კვლევების შედეგების გამოყენება უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით; საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და შედეგების საფუძველზე პედაგოგიური საქმიანობის სრულყოფა განათლების სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების გათვალისწინებით;
- მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსები და ICT ტექნოლოგიები მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით შედეგების გასაუმჯობესებლად;
- სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბება, პროფესიული ეთიკის წესების მნიშვნელობის გაცნობიერება. მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია და საქმიანი თანამშრომლობა მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების და პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბების მიზნით.

## პროგრამის სტრუქტურა

მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს.

მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის სტუდენტს ესაჭიროება პროგრამის სასწავლო კურსებიდან გაიაროს:

**ზოგადი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სასწავლო კურსები** *(ჩაშენებული სასკოლო პრაქტიკით, სავალდებულო მოდული ყველა მიმართულებისთვის)* - 30 კრედიტი;
**შესაბამისი მიმართულების საგნის სწავლების მეთოდიკის სასწავლო კურსები** (ჩაშენებული პრაქტიკით) - 20 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო კურსი);
**სასკოლო პრაქტიკის მოდულიდან** - 10 კრედიტი (შესაბამისი მიმართულებისთვის განსაზღვრული სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი);

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“, რომელიც ითვალისწინებს:

***ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:***

**(A) ფრიადი** – 91-100 ქულა;
**(B) ძალიან კარგი** 81-90 ქულა;
**(C) კარგი** – 71-80 ქულა;
**(D) დამაკმაყოფილებელი** – 61-70 ქულა;
**(E) საკმარისი** – 51-60 ქულა.

***ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:***

**(FX)** ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
**(F)** ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50%, ხოლო დასკვნითი შეფასების - 50%+1 ქულა.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

## დასაქმების სფერო

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი შესაბამის საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია,

სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია,ბიოლოგია, ინგლისური ენა, რუსული ენა);

- მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრები;
- პედაგოგთა გადამზადების ცენტრები;
- საგანამანათლებლო რესურსცენტრები;
- განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.